

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2002 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი უ ი

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში არის 9 სამეცნიერო განყოფილება: ალგებრის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, სამეცნიერო ინფორმაციის.

2002 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 38 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 36 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი) და 44 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. გარდა ამისა, ინსტიტუტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 29 მეცნიერი თანამშრომელი.

ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2002 წლის გეგმის მიხედვით მუშავდებოდა 17 სამეცნიერო თემა. 2002 წელს დასრულდა მუშაობა 6 თემაზე, მათ ნაცვლად წარმოდგენილია 5 ახალი თემა. დანარჩენ 11 თემაზე მუშაობის გაგრძელება გათვალისწინებულია შემდეგი წლებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით ინსტიტუტში 2002 წელს მუშავდებოდა 15 სამეცნიერო თემა. მათზე მუშაობის გაგრძელება გათვალისწინებულია 2003 წლისათვის.

2002 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა აგრეთვე უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო თემები.

1. მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მოკლე დახასიათება

1.1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2002 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები

მათემატიკური ანალიზი

დადგენილია მახასიათებელი ფუნქციის განაწილების შესახებ სტეინისა და გეისის ცნობილი თეორემის განზოგადება ერგოდული ჰილბერტის გარდაქმნებისათვის როგორც სასრულზომიანი, ასევე უსასრულოზომიანი სივრცეებისათვის [107,109].

დადგენილია ზოგადი ერგოდული ფუნქციის ერთადერთობის ფაქტი [26,27,108].

მიღებულია ორწონიანი შეფასებების კრიტერიუმები ცალმხრივი პოტენციალებისათვის კრიტიკულ-მანგუნებლიანი წარისხოვანი წონების შემთხვევაში [23].

დამტკიცებულია ფიქსირებული განსაკუთრებულობებით სინგულარული ინტეგრალებისა და ჰანკელის ოპერატორების შემოსაზღვრულობა ლებეგის სივრცეებში ფუნქციური მანგუნებლებით [57,58].

ფურიეს ოპერატორთა ფართო კლასისათვის გამოკვლეულია ორლიჩის კლასებში ორწონიანი უტოლობების მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები [39-41].

ორი ცვლადის ფუნქციებისათვის შემოტანილია სხვადასხვა აზრით კერძო წარმოებულებისა და კერძო დიფერენციალების ცნებები. დადგენილია მათი არსებობის პირობები და მათ შორის კავშირი [21,22].

შესწავლილია არაჟორდანის არეებზე წრის კონფორმულად ამსახავი ფუნქციის ყოფაქცევა საზღვრის მიდამოში. შედეგი გამოყენებულია მინიმალურ ზედაპირთა გარკვეული სიმრავლეების არასიცარიელის დასადგენად [100].

გახსნილი რეგულარული წირების შემთხვევაში გარკვეული კლასის ფუნქციებისათვის გამოკვლეულია ფაქტორიზაციის ამოცანა [29].

გამოკვლეულია წრფივი შეუღლების ამოცანა იმ ანალიზურ ფუნქციათა კლასში, რომლის სასაზღვრო მნიშვნელობები მიეკუთვნება ორლიჩის კლასებს [55].

დიფერენციალური განტოლებები

გამოკვლეულია სასაზღვრო ამოცანები ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა წრფივი სისტემებისათვის, რომელთა კოეფიციენტებს გააჩნიათ არაინტეგრებადი სინგულარობები განსახილველი შუალედის საზღვრით წერტილებში. კერძოდ, დადგენილია: ა) ზოგადი წრფივი სასაზღვრო ამოცანის

ფრედჰოლმურობის საკმარისი პირობები; ბ) არალოკალურ და ორწერტილოვან სასაზღვრო ამოცანათა ცალსახად ამოსხნადობის არაგაუმჯობესებადი ინტეგრალური პირობები [139,140].

დამტკიცებულია კონტი-ოპიალის ტიპის თეორემები მაღალი რიგის არაწრფივი სინგულარული ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოსხნადობისა და ცალსახად ამოსხნადობის შესახებ [53].

არსებითად არაწრფივი ორგანზომილებიანი არაავტონომიური დიფერენციალური სისტემებისათვის დადგენილია პერიოდული ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის პირობები [141].

მეორე რიგის გადახრილარგუმენტებიანი სხვაობიანი განტოლებებისათვის დადგენილია ამონახსნების რწევადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები [60].

სხვაობიანი განტოლებებისათვის დამტკიცებულია ახალი ტიპის შედარების თეორემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დაზუსტებულ იქნეს ადრე ცნობილი შედეგები [146].

მეორე რიგის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის მიღებულია პერიოდული ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები. არაწრფივობის შემთხვევაში მიღებული თეორემები არის კონტი-ოპიალის ტიპის [160].

მაღალი რიგის წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის მიღებულია პერიოდული ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები. მიღებული შედეგები ახალია ჩვეულებრივი განტოლებების შემთხვევაშიც [120].

გამოკვლეულია დარბუს ამოცანის ერთი მრავალგანზომილებიანი ვარიანტი მეორე რიგის გარკვეული სახის გადავარების მქონე ჰიპერბოლური ტიპის განტოლებისათვის. აგებულია ამ ამოცანის შესაბამისი მახასიათებელი კონთიდები. აპრიორულ შეფასებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია აღნიშნული ამოცანის კორექტულობა სობოლევის სპეციალურ წონიან სივრცეში [130].

მიღებულია სიმრტყეზე მეორე რიგის არაგახლეჩად მთავარნაწილიან ჰიპერბოლურ სისტემათა გარკვეული კლასისათვის გურსას ამოცანის ამოსხნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა. ზოგადი სახის მესამე რიგის დომინირებადი შერეულწარმოებულებიანი განტოლებებისათვის კუთხოვან მრუდწირულ არეებში მიღებულია დარბუს ზოგადი ამოცანისთვის ცალსახად და ჰუსდორფის აზრით ამოსხნადობის პირობები [36,37].

ელიფსური სასაზღვრო ამოცანებისათვის განხილულია პროექციულ-იტერაციული მეთოდის კრებადობის საკითხი. მიღებულია ცდომილების შეფასება სობოლევის სივრცეში [101,103].

მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ელიფსური განტოლებისათვის შესწავლილია ინტეგრალურპირობიანი არალოკალური სასაზღვრო ამოცანის სუსტი ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი [81].

აგებულია სპეციალური პოლინომები, რომელთა ნულები გამოყენებულია საიტერაციო სქემებში [17,87].

მათემატიკური ფიზიკა და დრეკადობის მათემატიკური თეორია

მხები დიფერენციალური ოპერატორებისთვის გამოკვლეულია სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაბირებზე საზღვრით. კლასიკური სასაზღვრო ამოცანებისთვის ნაპოვნია ალტერნატიული ფორმულირება, რომელიც იყენებს მხოლოდ ზედაპირის ნორმალს. მრავალი კლასიკური ტიპის სასაზღვრო ამოცანისთვის დაწერილია გრინის ფორმულები და ეს ამოცანები დაყვანილია ექვივალენტურ სასაზღვრო განტოლებებზე [98].

დამტკიცებულია კოშის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა კონტურზე განსაზღვრულ მოდიფიცირებულ წონიან სობოლევის, ჰილდერ-ზიგმუნდის, ბესოვის და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში, როდესაც სივრცეთა სივრცის პარამეტრები საკმარისად დიდია, ხოლო კონტური ნაჭრობრივად გლუვია, და შეიძლება შეიცავდეს კუთხოვან ან უკუქცევის წერტილებს. იმ შემთხვევაში, როდესაც კონტური არ შეიცავს უკუქცევის წერტილებს, მიღებულია ფრედჰოლმის კრიტერიუმი და ინდექსის ფორმულა სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისათვის ნაჭრობრივად გლუვი კოეფიციენტებით და კომპლექსური შეუღლებით. მიღებული შედეგები გამოყენებულია ბრტყელი სასაზღვრო ამოცანების გამოსაკვლევადაც მხები წარმოებულთ, როდესაც არის საზღვარს გააჩნია კუთხეები და უკუქცევის წერტილები [98].

შესწავლილია დრეკადობის ერთგვაროვანი ანიზოტროპული სივრცითი თეორიის დინამიკის ბზარის ტიპის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები კონტაქტით საზღვრის ნაწილზე. დადგენილია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები, მიღებულია ამონახსნის ასიმპტოტური ფორმულები სინგულარული წირების (საკონტაქტო ზედაპირის საზღვარი და ბზარის ბოლოები) მახლობლობაში [93].

მიღებულია მრავალსახეობის საზღვრის მახლობლად ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნის სრული ასიმპტოტიკა საწყის მონაცემებზე დამატებითი სივრცის მოთხოვნის გარეშე. შესწავლილია კვაზიწრფივი განტოლებების ამონახსნთა ასიმპტოტიკა საზღვრის მიდამოში [38].

გამოკვლეულია ორთოტროპული ნახევარსიბრტყის საზღვარზე ცვლადი სინქარით მოძრაობის ამოცანა. იგი მიყვანილია ინტეგრალურ განტოლებასზე, რომლის ამონახსნი აგებულია ნახევარდუსასრულო შტამპის შემთხვევაში. შესწავლილია ნახევარსიბრტყის საზღვარზე ცვლადი სინქარით მოძრაობის სასრული სივრცის შტამპის ამოცანა, როდესაც შტამპის ფუძე უცნობია და განისაზღვრება იმ პირობით, რომ შტამპის ქვეშ ძაბვები თანაბრად არის განაწილებული. ამოცანის ამონახსნი აგებულია კვადრატურებში და მოძებნილია შტამპის ფუძე [5,6].

გამოკვლეულია სასრული (წრიული ფორმის ხისტად ჩამაგრებული საზღვრით ან მართკუთხოვანი ფორმის სასრულად ჩამაგრებული საზღვრით) ანიზოტროპული ფირფიტების, აგრეთვე წრიული ხვრელის მქონე უსასრულო ანიზოტროპული ფირფიტის ცვლადი სინისტის ჩართვებთან ურთიერთქმედების ღუნვის საკონტაქტო ამოცანები. აღნიშნული ამოცანები მიიყვანება პრანდცლის ტიპის მახასიათებელი ნაწილის მქონე ინტეგრალურ განტოლებასზე. ეს უკანასკნელი კი რეგულარიზაციის მეთოდით დაიყვანება ფრედჰოლმის მეორე გვარის ინტეგრალურ განტოლებასზე. შესწავლილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები [72,167].

გამოკვლეულია უსასრულო ერთგვაროვანი იზოტროპული სიბრტყის ნახევარდებურუნებული ამოცანა. სიბრტყეს გააჩნია ხვრელი, რომლის საზღვრის ნაწილი წარმოადგენს ორ პარალელურ მონაკვეთს და ორ უცნობ კონტურს. საზღვრის სწორხაზოვან ნაწილზე ნორმალური გადაადგილებები მუდმივია, მხები ძაბვა კი ნულია, ხოლო საზღვრის უცნობი ნაწილი თავისუფალია გარე დატვირთვებისაგან. ფირფიტა განიცდის ორდინატთა ღერძის პარალელური მკუმშავი ძალების მოქმედებას. აღნიშნულ პირობებში საძიებელია სხეულის დაძაბული მდგომარეობა და უცნობი საზღვარი იმ პირობით, რომ მასზე ძაბვის ნორმალური ტანგენციალური მდგენელი მუდმივია. ამოცანა მიიყვანება კოლიასოვ-მუსხელიშვილის პოტენციალის მიმართ დირიხლეს სახეშეცვლილ ამოცანასზე. ამონახსნი აგებულია ცხადი სახით [178-180].

შესწავლილია ცილინდრულთან მახლობელი ბრუნვითი გარსების საზღვარზე მოქმედი მერიდიანული დატვირთვების გავლენა ტალღების ფორმასზე, უმცირეს საკუთრივ სინშირეთა სიდიდესზე და გარსების დინამიკურ მდგრადობასზე. განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაუსის სიმრუდიანი გარსები [61,149].

გამოკვლეულია ფილტრაციის თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ორგანზომილებიანი ამოცანები, როდესაც მოძრაობა ფილტრებადი სითხით შევსებულ არეს კომპლექსური სინქარის სიბრტყეზე შეესაბამება წრიული ხუთკუთხედი და სასაზღვრო პირობებში მონაწილეობს ერთი აცილებადი განსაკუთრებული წერტილი. დამყარებულია კავშირი შვარცის არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებასა და ფილტრაციის თეორიის ბრტყელი ამოცანების ამონახსნებს შორის [74,173-177].

აღგებრა და ტომოლოგია

დამტკიცდა ტორიდიული მრავალნაირობების K-თეორიაზე ნატურალური რიცხვების მულტიპლიკაციური მოქმედების შესახებ ნილპოტენტობის ჰიპოთეზა [10-16,83,84].

კატეგორიული გალუას თეორიის დახმარებით აგებულია ტომოლოგიურ სივრცეთა უწყვეტი ასახვის ახალი ორმაგი ჰომოტოპიის ჯგუფი და დადგენილია ამ კონსტრუქციის კავშირი ცნობილ კონსტრუქციებთან [33,34,82,89,122].

დამტკიცდა, რომ კომუტაციური აღგებრების ანდრე-კვილენის ჰომოლოგიის ჯგუფები აღიწერება ფარდობითი ჰომოლოგიური აღგებრის ჩარჩოებში [18,62,67-69,163,164].

გამოკვლეულია ბივარიანტული KK-თეორია აღგებრული K-თეორიის თვალსაზრისით [31].

აგებულია და გამოკვლეულია ლის აღგებრების არააბელური ჰომოლოგია კოჰეციენტებით ლის აღგებრებში [32,121].

გრძელდება კვლევა ლაიბნიცის აღგებრების, კერძოდ, შეისწავლება მრგვალ და კვადრატულ ფრჩხილებს შორის ივივობების არსებობის საკითხი. გამოკვლეულია თავისუფალი ლაიბნიცის აღგებრების მიღების საკითხი ვიტის კონსტრუქციით [20,96].

გამოკვლეულია ექვივალენტობები N-კატეგორიებში [162].

დამტკიცებულია, რომ აღგებრების მრავალნაირობა არის მალცევის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მასში სიმპლიციურ ობიექტთა ყოველი სიურექციული ჰომომორფიზმი არის კანის ფიბრაცია. ნაჩ-

ვენებია, რომ ფენობრივი დისკრეტულობის ორი აქამდე ცნობილი ინტუიციონისტური ცნების გარდა არსებობს კიდევ ერთი, მათ შორის მკაცრად მოთავსებული [7,35,76].

ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაო სტაბილური ჰომოტოპიური თეორიისათვის [8].

სიურექციათა ოპერადის ტერმინებში აგებულია ჯაჭვური ოპერაციები, რომლებიც ბარ კონსტრუქციაში სტინროდის ნამრავლებს განსაზღვრავენ [125].

აგებულია ზუსტი დიაგონალი პერმუტაციონისათვის, მულტიპლიედრისათვის და ასოციაციონისათვის და მოცემულია მისი ზოგიერთი გამოყენება [166].

კუბის სიმპლექსებად დაჭრის სტანდარტული კონსტრუქცია ფორმალისებულია ფუნქტორად, რომელიც კუბურ სიმრავლეს შეუსაბამებს სიმპლიციალურ სიმრავლეს ჰომომორფული რეალიზაციით [127].

შემოტანილია ფლიისის მოდელის ცნება ნებისმიერ კომუტაციურ რგოლზე. დამტკიცებულია, რომ შესაძლებელია ამ მოდელის წარმოდგენა პროექციული მოდულების ტერმინებში [153].

მიღებულია კლასიფიკაცია მარტივ ლის ალგებრებში ყველა პარაბოლური ქვეალგებრებისა, რომელთა ნილპოტენტურ იდეალს აქვს კომუტაციური პოლარიზაცია [106].

აღწერილია ელიფსური სასაზღვრო ამოცანების ტოპოლოგია, კერძოდ გამოთვლილია მათი მთლიანობის ჰომოტოპიური ჯგუფები. აღწერილია კვატერნიონული მრავალწევრის ფესვთა სტრუქტურა, კერძოდ დამტკიცებულია, რომ ამ სიმრავლის ეილერის მახასიათებელი უდრის პოლინომის ალგებრულ ხარისხს [2,43].

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

მიღებულია მარტინგალური ზომების ძლიერი კრებადობის პირობები. სტოქასტური მართვის თეორიის მეთოდების გამოყენებით აღწერილია დისპერსია, მინიმალური და მინიმალური ენტროპიის მარტინგალური ზომები [158].

რობასტულობის სტატისტიკური მეთოდოლოგია გამოყენებულია ფინანსურ მოდელირებაში საშუალო კვადრატული აზრით რობასტული ჰეჯირების ამოცანის გადასაწყვეტად სტოქასტური ვოლატილობის მოდულებში [152].

დადგენილია ბინომურ ალბათობათა ნარევის პუასონის ალბათობათა ნარევით მიახლოების გლობალური სიჩქარე. აღწერილია მძიმე-კუდიან განაწილებათა ერთი სემიპარამეტრული ოჯახი და ამ ოჯახისათვის დადგენილია სადაზღვევო კომპანიის გაკოტრების ალბათობა [171].

მიღებულია ლოკალური ზღვართი თეორემა მთელირიცხვა შემთხვევითი ვექტორებისათვის [28].

მესამე მომენტის არსებობის პირობებში, რომელიც ამ დამატებითი შეზღუდვისას მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ერთგანზომილებიან შედეგს, მთელირიცხვა შემთხვევითი სიდიდეებისათვის დადგენილია ახალი საკმარისი პირობები განაწილებათა ცალკეული ჯგუფების სიგლუვის ტერმინებში [112].

სტაციონარულ პირობით დამოუკიდებელ დაკვირვებათა ერთი კლასისათვის დადგენილია საერთო სიმკვრივის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების ზოგიერთი თვისება [168].

ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა; ველის კვანტური თეორია; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

აგებულია ლიუვილის კვანტურ-მექანიკური მოდელის წვეროს ფუნქცია წვეროს ნებისმიერი მაჩვენებლისათვის და ნაჩვენებია შესაბამისი წვეროს ოპერატორის ერმიტულობა [124].

ყალიბრების ტექნიკის გამოყენებით მიღებულია ადრონულ სიდიდეებში მეზონური შესწორებების მკაცრი გათვალისწინების მეთოდი. ამის შედეგად დადგენილია, რომ მრავალი ავტორის მიერ ადრე შემოთავაზებული მეზონური გაცვლების შესაბამისი გამოსახულებები წარმოადგენენ ჩვენი ზუსტი ფორმულის მხოლოდ ამა თუ იმ მიახლოებას [150].

განხილულია ფაზური გადასვლები სკალარული ველის თეორიაში მეოთხე რივის პოტენციალით. შემუშავებულია ყალბი ვაკუუმის დაშლის ალბათობაში 1-მარყუჟიანი შესწორებების დასათვლელი ტექნიკა. თეორია რიცხობრივად არის შესწავლილი ბმების მუდმივების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. ბოლო წლებში არააბელური მატერიის კვლევაში ფარდობითობის ზოგად თეორიაში ბევრი საინტერესო სიურპრიზი გამოავლინა. თავდაპირველად ნაპოვნი იყო გლობალურად რეგულარული, სტატისტიკური ამოხსნები ეინშტეინ-იანგ-მილსის თეორიაში, და მოკლე ხანში შესაბამისი შავი ხვრელების ამონახსნები იყო აღმოჩენილი. შესწავლილი იყო სხვადასხვა განზოგადოებული თეორია. მიმოხილულია აღნიშნული საკითხები და აღწერილია ამონახსნების ძირითადი თვისებები [151].

შესწავლილია $SU(2)$ ლოკალური გარდაქმნების მიმართ ინვარიანტული თეორია ჰიგსის სექტორში. კერძოდ, გამოკვლეულია მონობოლის ტიპის ამოსხნების კვანტური ყოფაქცევა. ასეთი ამოსხნები (ეილერ-ლაგრანჟის კლასიკური განტოლებებისა) პასუხობენ ლაგრანჟიანის ინვარიანტობას ერთდროულად $\mathfrak{su}(2)$ -განზომილებიან კოორდინატთა სივრცის ბრუნვებისა და $SU(2)$ -გარდაქმნების მიმართ. კოლექტიური კოორდინატების მეთოდის საშუალებით აგებული შემოთავაზების თეორია გამოყენებულია შრედინგერის განტოლების ამოსახსნელად. ნაჩვენებია, რომ ნულოვანი მიახლოება ემთხვევა კლასიკურ გამოსახულებებს. ჰამილტონიანის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ბრუნვის ჯგუფის პარამეტრებს როგორც ცვლადებს, საშუალებას იძლევა ზუსტად აღწეროს თეორიის სიმეტრია და მოინახოს ენერჯიის შესწორებები, რომლებიც აღწერენ მონობოლის კვანტურ ყოფაქცევას [169].

ნაჩვენებია, რომ გეოდეზიური მოძრაობა $ds^2 = \text{tr}(g^{-1}dg)^2$ ბი-ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ $GL(n, \mathbb{R})$ ჯგუფურ მრავალსახეობაზე შეესაბამება კალოჯერო-მოზერ-საზერლენდის n -ნაწილაკოვანი ჰიპერბოლური მოდელის განზოგადებას. კერძოდ, განხილულია $SO(n, \mathbb{R})$ ჯგუფური ქმედების ორბიტებზე მოძრაობა და ნაჩვენებია, რომ n -ნაწილაკოვანი კალოჯერო-მოზერ-საზერლენდის განზოგადებული სისტემის დინამიკა შეიცავს შინაგანი თავისუფლების ხარისხთა ორ ტიპს, რომლებიც $SO(n, \mathbb{R}) \oplus SO(n, \mathbb{R})$ აღგებრას აკმაყოფილებენ. $SO(n, \mathbb{R})$ ჯგუფური ქმედების სინგულარული ორბიტებისათვის გეოდეზიური მოძრაობა შეესაბამება კალოჯერო-მოზერ-საზერლენდის მოდელის გარკვეულ დეფორმაციას, რომელიც გულისხმობს ნაწილაკთა აღწერას განსხვავებული მასებით. მასათა ფარდობა დამოკიდებულია სინგულარული ორბიტის ტიპზე და განისაზღვრება მისი გადაგვარების სპეციფიკით. დისკრეტულ და უწყვეტ სიმეტრიათა საფუძველზე განხორციელებული რედუქციის საშუალებით ნაჩვენებია კავშირი კალოჯერო-მოზერ-საზერლენდის $II A_n$ ტიპის მოდელთან. მიღებულია ნებისმიერი θ -კუთხის შესაბამისი $SU(2)$ იანგ-მილსის თეორიის ჰამილტონური რედუქცია 3×3 მატრიცული ველების არალოკალურ ურთიერთქმედ თეორიაზე. ნაჩვენებია, რომ შეზღუდულ ფაზურ სივრცეზე პროექტირების შემდეგ პონტრიაგინის ტოპოლოგიურ წევრს კვლავ წმინდა ყალიბური ხასიათი გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული თეორია არ არის დამოკიდებული θ -კუთხის მნიშვნელობაზე. ამ თვისების ლოკალურ მიახლოებაში შესანარჩუნებლად შემოთავაზებულია მწკრივად გაშლა ურთიერთქმედების მუდმივის უკუხარისხებად. შესაბამისი მიახლოებითი ლაგრანჟიანი მიღებულია წარმოებულების მიმართ მეთრე რიგის სისუსტით. გარდა ამისა, მიღებულია ჩერნ-საიმონსის დენის ანალოგი, რომელიც წრფივად არის დამოკიდებული წარმოებულებზე. განხილულია გადაგვარებული კონფიგურაციის მქონე ველი, რომელიც აღწერს ერთეულოვანი რანგის მქონე მატრიცულ $S(X)$ ველს. ამის საფუძველზე გამოყვანილია \mathcal{D} -ს ტიპის არაწრფივი მოდელი, სადაც პონტრიაგინის ტოპოლოგიური წევრი დაიყვანება $S^3 \rightarrow S^2$ გადასხვის შესაბამის ჰომოფის ინვარიანტზე, რომელიც უაითჰედის ფორმით არის მოცემული. გაკეთებულია ბიანკის I გვარის ჰომოლოგიური მოდელის ისეთი ფორმულირება, სადაც დაკვირვებადი სიდიდეების ევოლუციის განმსაზღვრელი ჰამილტონიანი ემთხვევა კალოჯერო-მოზერ-საზერლენდის $\mathfrak{su}(2)$ -ნაწილაკოვან ინტეგრებად ჰიპერბოლურ მოდელში ფარდობითი მოძრაობის შესაბამის ჰამილტონიანს. შესწავლილია $SU(2)$ იანგ-მილსის კვანტურ-მექანიკური მოდელი დირაკის ფორმალის-ში. ნაჩვენებია, რომ რედუქციის შედეგად მიღებული სისტემა ემთხვევა კონფორმულ-მექანიკურ მოდელს [47-49, 135-138].

შესწავლილია გადაგვარებულ პუასონურ სტრუქტურათა არაკომუტაციური განზოგადება. მიღებულია პუასონურ სტრუქტურათა ოჯახის სრული აღწერა. მიღებულია პუასონური ალგებრის ცენტრის ცნების განზოგადება და შესწავლილია მისი კავშირი სინგულარული პუასონური სტრუქტურის გეომეტრიულ და ჰომოლოგიურ თვისებებთან. შესწავლილია გლუვ მრავალსახეობებზე განმარტებულ პუასონურ სტრუქტურათა გეომეტრიული, ალგებრული და ჰომოლოგიური თვისებები. დამუშავებულია ალგებრული კონსტრუქცია გადაგვარებული პუასონური ალგებრის რედუქციისათვის [114-117].

1.2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით შესრულებული სამუშაოები

პროექტი № 1.1.02 – უწყვეტ ტანთა მექანიკის ორგანოზომილებიანი შერეული სასაზღვრო ამოცანები, ფაქტორიზაციის ამოცანები და მათი გამოყენება

გამოკვლეულია დრეკადობის ბრტყელი თეორიისა და ანტიბრტყელი ამოცანები სწორხაზოვანი ბზარების მქონე სიბრტყისათვის, აგრეთვე შტამპების დაწნევის ამოცანები, როდესაც ბზარის ბოლოები და შტამპი მოძრაობს ცვლადი სიჩქარით. ამოცანები დაყვანილია ორგანოზომილებიან ნახევრის ტიპის ინტეგრალურ განტოლებებზე, რომლის ერთი ინტეგრალი ვოლტერას ტიპისაა. ამოცანის ამოსხნა მიყვანილია სასაზღვრო ამოცანაზე და ამონახსნი მიღებულია კვადრატურებში. ნაწილობითი ფაქტო-

რიზაციის გზით მიიღება ვოლტერას ტიპის ორგანოზომილებიანი განტოლება ნახევრად უსასრულო სა-
ზღვრით. ამ შემთხვევაში ამონახსნი აიგება მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით; გამოკვლეულია
დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანები ცვლადი სინისტის დრეკადი ჩართვების მქონე უბან-
უბან ერთგვაროვანი ფირფიტებისათვის. საკონტაქტო მონაკვეთის გასწვრივ წყვეტას განიცდის რო-
გორც მხები, ასევე ნორმალური საკონტაქტო ძაბვები. მიიღება ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლე-
ბათა სისტემა. ერთგვაროვანი ფირფიტების ან კონკრეტული სახის დატვირთვების პირობებში სისტემა
ითიშება დამოუკიდებელ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებად. მიღებულია როგორც ეფექტური,
ასევე მიახლოებითი ამონახსნები [5,6].

პროექტი № 1.2.02 – სივრცეებისა და ფიბრაციების ალგებრული მოდელები და წინააღმდეგობათა
თეორია

აღწერილია გზათა სივრცის ფიბრაციის პრედიფერენციალის გამოთვლის მეთოდი [80].

აგებულია სიმპლიციალური სიმრავლეებიდან კუბურ სიმრავლეებში მგრეს ასახვათა თეორია, რომ-
ლის მეშვეობითაც აგებულია მარყუჟთა სივრცეებისა და გზათა სივრცეების მოდელები [128].

მოცემულია ტრანსფერის გამოთვლის მეთოდი [78].

პროექტი № 1.3.02 – მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო
ამოცანის გამოკვლევა პოტენციალთა და ვარიაციული უტოლობების მეთოდით

ერთგვაროვანი ანიზოტროპული ელექტროდრეკადი სხეულისათვის შესწავლილია დირიხლეს, ნეი-
მანის და შერეული ბზარის ტიპის სტატიკის სასაზღვრო ამოცანები. დამტკიცებულია არსებობისა და
ერთადერთობის თეორემები ბესოვისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. აღწერილია ამონახსნ-
თა სრული ასიმპტოტიკა ბზარის კიდის მახლობლობაში [86].

ელექტროდრეკადობის დირიხლესა და ნეიმანის ტიპის რხევის შიდა ამოცანებისათვის დადგენილია
საკუთრივი სინშირეების განაწილების ასიმპტოტიკა [85].

სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობათა მეთოდის გამოყენებით შესწავლილია დრეკადობის მომენტუ-
რი თეორიის სტატიკის შიგა ამოცანები ანიზოტროპული და არაერთგვაროვანი სხეულებისათვის და
გარე ამოცანები ერთგვაროვანი გარემოს შემთხვევაში, როცა დრეკადი სხეულის საზღვრის ნაწილზე
ან მთელ საზღვარზე გათვალისწინებულია ხახუნის ეფექტი [111].

პროექტი № 1.4.02 – კვანტური დინამიკისა და ძირითადი მდგომარეობის პრობლემა კვანტური გე-
ლეების თეორიისა და კვანტური სტატისტიკის ამოცანებში

დამუშავდა შირკოვ-სოლოგოცოვის ანალიზური შეშფოთების თეორიის ტექნიკური ასპექტები. გამო-
ყენებულია რენორმ-ჯგუფის განტოლების ზუსტი (ცხადი) ამონახსნები, რომლებიც ჩაწერილია ლამ-
ბერტის W ფუნქციის ტერმინებში. ამ მიდგომაში მიღებული იქნა ცხადი (ანალიზური) სახით ამონახს-
ნები დროისებრი და სივრცისებრი დაკვირვებადი სიდიდეებისთვის, შეშფოთების თეორიის მე-3 რიგის
ჩათვლით. ანალიზურობის პრინციპის გამოყენებით აგებულია ახალი ფენომენოლოგიური (არაპერ-
ტურბატიული) მოდელი კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტური მუხტისათვის გამოსადეგი იმპულსის
ცვალებადობის მთელ არეში. მოდელში სრულად არის ჩადებული შეშფოთების თეორიიდან გამომდი-
ნარე ინფორმაცია (ასიმპტოტური თავისუფლება ნებისმიერ რიგში და რენორმალიზაციური ინვარიან-
ტობა). დამატებით იგი შეიცავს სინგულარულ წევრს (ნულოვან გადაცემულ იმპულსზე), რომელიც
შეესაბამება კვარკ-ანტიკვარკის კონფაინმენტურ პოტენციალს. გამოყენებულია რენორმ-ჯგუფის გან-
ტოლების ლამბერტის W ამონახსნები. მოდელი ხასიათდება არსებითად მხოლოდ ერთი თავისუფალი
პარამეტრით – კვანტური ქრომოდინამიკის ინვარიანტული მასური სკალით. ანალიზური მოდელებ-
ისგან განსხვავებით, ძირითადი გაუმჯობესება არის ის, რომ ეს მოდელი იძლევა სასრულ გლუონის
ვაკუუმურ კონდენსატს და ულტრაიისფერი შესწორებები თანმიმდევრულად ითვლება ნებისმიერ რიგ-
ში. ეს შესწორებები გამოთვლილია მე-3 რიგის ჩათვლით. მოდელური მუხტის ფუნქცია ბუნებრივად
შეიცავს ინფრაწითელი არის საზღვარს – მასურ სკალას, რომლის ქვემოთ შეშფოთების თეორია აღარ
გამოდგება. მოდელური მუხტის გამოყენებით შესრულებულია რიცხვითი გამოთვლები სხვადასხვა ფი-
ზიკური სიდიდისთვის. მიღებულია საკმარისად კარგი თანხვედრა ექსპერიმენტთან. კონკრეტულად გა-
მოითვალა გლუონის კონდენსატი, ინფრაწითელი არის საზღვარი და სიმის დაჭიმულობა. ინფრაწითე-
ლი არის საზღვრისთვის რიცხვითი მნიშვნელობა, განსაზღვრული მოდელში, ემთხვევა სხვა მეთოდე-
ბით მიღებულ შედეგებს. რო-მეზონის მასურ სკალაზე მუხტის რიცხვითი მნიშვნელობა (გადაყვანილი
გადანორმის MS სქემისთვის) უდრის 0.6-ს. ინვარიანტული სკალის მნიშვნელობა (როცა სიმის დაჭი-
მულობა უდრის 420 MeV-ს) დამოკიდებულია მიახლოების რიგზე. 3-მარყუჟიანი მიახლოებაში იგი უდ-
რის 175 MeV-ს. ეფექტური მუხტის ახალი მოდელი გამოყენებული იქნება ერთი მხრივ არაპერტურბა-

ტიული კონფაინმენტური წვლილების შესაფასებლად ელექტრონ-პოზიტრონის ინკლუზიური ანიჰილაციის პროცესში, მეორე მხრივ ბმული მდგომარეობების სპექტრის შესასწავლად [156,157].

პროექტი № 1.5.02 – K-თეორიის და ჰომოლოგიის თეორიის ზოგიერთი საკითხი

თბერატორებიანი ჯგუფებისათვის დადგენილია უნივერსალური ცენტრალური გაფართოებების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა და ინტეგრალური ჰომოლოგიისათვის დამტკიცებულია ჰობფის ფორმულა [30,113].

შემოტანილია ცნება კატეგორიისა ექვივალენტობის მიმართებებით და მისი გამოყენებით გამოკვლეულია შინაგანი კატეგორიების კატეგორია. მიღებული შედეგების საფუძველზე განზრახულია აღიწეროს კატეგორიული ჯგუფების კატეგორია [79].

განმარტებულია ფუნქტორების ჩენის n-ური რიგის წარმოებული ფუნქტორები და გამოკვლეულია მათი თვისებები [94].

გამოკვლეულია ბიგარიანტული KK-ფუნქტორების თვისებები ალგებრული K-თეორიის გამოყენებით [31].

გამოკვლეულია 2-ექვივალენტობები 4-კატეგორიებში [161].

პროექტი № 1.6.02 – არაავტონომიურ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური თვისებები

შესწავლილია მაღალი რიგის წინწასწრებულარგუმენტებიანი ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებათა ოსცილაციური თვისებები. დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისათვის, რომ ზემოთ ხსენებულ განტოლებებს გააჩნდეს ე. წ. A და B თვისებები [51,52].

მაღალი რიგის გადახრილარგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია ახალი საკმარისი პირობები იმისა, რომ მოცემულ განტოლებას გააჩნდეს ე. წ. A და B თვისებები. პირველი რიგის გადახრილარგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში მიღებულია სპეციფიკური ხასიათის შედეგები, რომლებიც წარმოადგენს ადრე კარგად ცნობილი შედეგების განზოგადებას [147].

პროექტი № 1.7.02 – ინტეგრალური თბერატორები ბანახის ფუნქციურ სივრცეებში და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანები

დადგენილია ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციების წონიან ფუნქციურმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები [104].

ფურიეს გარდაქმნების მულტიპლიკატორებისათვის დადგენილია ოპტიმალური ორწონიანი შეფასებები [56].

დამტკიცებულია, რომ არ მოიძებნება წონათა ისეთი წყვილი, რომ რისის გარდაქმნა იყოს კომპაქტური ერთი წონიანი სივრციდან მეორეში [66].

კვატერნიონული არგუმენტის კვატერნიონული ფუნქციებისათვის შემოღებულია წარმოებულის ცნება. დადგენილია, რომ კვატერნიონული არგუმენტის ელემენტარულ ფუნქციებს აქვთ ასეთი წარმოებულები და ადგილი აქვს კლასიკური ანალიზის ცნობილ ფორმულებს.

დამტკიცებულია, რომ ყოველი უბნობრივ გლუვი, შეკრული არანორმალური შინაგანი საზღვრის მქონე ნებისმიერ მიდამოში არსებობს უბნობრივ გლუვი შეკრული ნორმალური შინაგანი საზღვარი. შედეგი გამოყენებულია გაუსის არაცარიელი ასახვების მქონე ზედაპირთა ოჯახების პარამეტრიზაციისათვის.

გამოკვლეულია წრფივი შეუღლების ამოცანა იმ ანალიზურ ფუნქციათა კლასში, რომელთა სასაზღვრო მნიშვნელობები მიეკუთვნება ზიგმუნდის კლასს [55].

წრფივი შეუღლების ამოცანაში მოძებნილია კოეფიციენტისათვის ოპტიმალური პირობა იმისათვის, რომ ამოცანა ჯამებადი მარჯვენა მხარისათვის ამოსხნადი იყოს კოშის ტიპის ინტეგრალებით წარმოდგენად ანალიზურ ფუნქციათა კლასში.

ნახვევის ტიპის ინტეგრალურ თბერატორთა ერთი კლასისათვის დადგენილია ნორმისა და არსებითი ნორმის გამოსათვლელი ფორმულები ლებეგის სივრცეებში ხარისხოვანი წონებით [75].

პროექტი № 1.8.02 – კერძოწარმოებულებიანი განტოლებათა და სისტემათა ზოგიერთი კლასი

გამოყოფილია მეორე რიგის არაწრფივ პარაბოლურად გადავარებად ან მკაცრად ჰიპერბოლურ განტოლებათა კლასი, რომელთა ზოგადი ინტეგრალები ორი ნებისმიერი ფუნქციით წარმოიდგინება და ამასთან, ერთ-ერთი მათგანი მეორის არგუმენტის შემადგენელი ნაწილია. ასეთი აგებულების ზო-

გადი ინტეგრალის საფუძველზე გამოკვლეულია საწყისი ამოცანა და საწყის-მანახიათებელი ამოცანის ერთი არაწრფივი ვარიანტი [119].

მეორე და მაღალი რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის ცხადი სახით არის მოძებნილი ლაპლასის ინვარიანტები, განხილულია მათი გარკვეული აზრით დამოუკიდებლობის საკითხი და შესწავლილია ჰიპერბოლურ თპერატორთა დაშლა და ელიფსურ და პარაბოლურ თპერატორთა წარმოდგენადობა ისეთი ფორმით, რომელიც ახლოს არის კანონიკურთან [123].

პროექტი № 1.9.02 – მაღალი რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორდის ანალიზში

შესწავლილია მაღალი რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორდის ანალიზში [3].

პროექტი № 1.10.02 – სტოქასტური ანალიზი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

განხილულია ჰეჯის შეცდომის მინიმინაციის ამოცანა, როდესაც ცდომილება ამოწმეპილი შემთხვევითი ფუნქციით იზომება და აქციის ფასის დინამიკა უწყვეტი სემიმარტინგალით აღიწერება [159].

ნაწილობრივ დაკვირვებადი ფინანსური მოდელები რედუცირებულია სრულად დაკვირვებად შემთხვევაზე ძლიერი ინოვაციის პროცესზე დაყრდნობით და გადაჭრილია ჰეჯირების პრობლემები სხვადასხვა ფინანსური მოდელებისათვის [73].

აგებულია დიფუზიური ტიპის პროცესის მრავალგანზომილებიანი პარამეტრის რობასტული შეფასება და შესწავლილია მისი ასიმპტოტური თვისებები [152].

გამოკვლეულია განაწილების ფუნქციის ნახვევის ტიპის შეფასებათა კრებადობის სიჩქარეები [171]. ნორმალური მარტინგალის ფუნქციონალებისათვის შემოღებულია სობოლევის პირველი რიგის სივრცე და მათთვის განზოგადებულია მარტინგალური წარმოდგენის თეორემა [165].

პროექტი № 1.11.02 – წრფივ დინამიურ სისტემათა მოდელების სივრცის ტოპოლოგია

განხილულია როზენბროკის მოდელები კომუტაციურ რგოლებზე. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ ისინი სტაბილურად ექვივალენტურია კალმანის მოდელებისა [153].

მიღებულია ცხადი ალგებრული ფორმულები საკუთრივი პოლინომიური ასახვის ფენათა ეილერის მანახიათებლისთვის. ამ ფორმულების გამოყენებით აღწერილია ბრტყელი ხუთკუთხედების კონფიგურაციული სივრცეების ტოპოლოგიური სტრუქტურა [132,133].

პროექტი № 1.12.02 – პროექციულ-იტერაციული და სასრულ-სხვაობიანი მეთოდები

დადგენილია ცდომილების შეფასება სობოლევის სივრცეში [101,103].

აგებული და გამოკვლეულია სხვაობიანი სქემა ერთი არალოკალური სასაზღვრო ამოცანისათვის. მიღებულია კრებადობის სიჩქარის შეფასება [9].

პროექტი № 1.13.02 - მყარ სხეულთა და სითხეთა მოძრაობების მდგრადობის არაწრფივი ამოცანები

შეისწავლება ღეროვან სისტემათა კომბინაციის მოდელოური ამოცანა, როცა სისტემა მოძრაობს წრიულ ორბიტაზე და გათვალისწინებულია სასრულ შეერთებებში წარმოქმნილი დეფორმადი ძალები [170].

პროექტი № 1.14.02 – წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა ზოგიერთი გახსნილი რეგულარული წირის შემთხვევაში

გახსნილი რეგულარული წირის შემთხვევაში დადგენილია კომის ტიპის ინტეგრალის ზოგიერთი, გამოყენებებისათვის მნიშვნელოვანი თვისება.

პროექტი № 1.15.02 – “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” და ჟურნალ “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სარედაქციო სამუშაოები და ორიგინალ-მაკეტების მომზადება

2002 წელს გამოვიდა “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” 3 და იბეჭდება 1 ნომერი. გამოვიდა და ჟურნალის “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სამი ტომი: 25-ე, 26-ე და 27-ე.

1.3. საზღვარგარეთული გრანტებით შესრულებული სამუშაოები

დადგენილია ოპტიმალური პირობები წონათა წყვილზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ორწონიანი ძლიერი (სუსტი) ტიპის უტოლობების მართებულობას კლიფორდის ალგებრებში ჩადგმული ლიფშიცის ზედაპირებზე განსაზღვრული მრავალგანზომილებიანი სინგულარული ინტეგრალებისათვის. ანალოგიური საკითხები გამოკვლეულია არალიფშიცის ზედაპირებზე განსაზღვრული სინგულარული და პოტენციალის ტიპის ოპერატორებისათვის [1,24] (INTAS Fellowship Grant for Young Scientists No. YSF 01/1-8).

ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების ორგანზომილებიანი სისტემებისათვის და მეორე რიგის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის მიღებულია პერიოდული ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები. განხილულია როგორც წრფივი, ასევე არაწრფივი შემთხვევები [141,160] (Grant of the Government of Italy for Young Scientists; INTAS Fellowship Grant for Young Scientists No. YSF 2001-2/80).

პირველი რიგის სიმეტრიულ ჰიპერბოლურ სისტემათა ერთი კლასისათვის შესწავლილია ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ორწახნაგა კუთხეში, რომლის არცერთი წახნაგი არ ენება სხივთა გარე კონუსს. ამ სისტემათა კლასს მიეკუთვნებიან მაქსველის, დირაკის, კრისტალთა ოპტიკის და მათემატიკური ფიზიკის სხვა განტოლებათა სისტემები [131]. დადგენილია ასგეირსონის საშუალო მნიშვნელობის პრინციპის არაწრფივი ანალოგი, რომლის გამოყენებითაც შემუშავებული და გამოკვლეულია სპეციალური სახის ერთი არაწრფივი არალოკალური ამოცანა [119] (INTAS Grant No. 00136: “Systems of quasilinear partial differential equations and inequalities. Existence and nonexistence of solutions”).

აღწერილია “smash” ნამრავლით განსაზღვრული მონოიდური სტრუქტურა გეომეტრიულ კატეგორიებში. დასრულებულია წინა წლებში დაწყებული მუშაობა ორი მიმართულებით: ბულის გალუას თეორიები და შინაგანი ჯვარედინა მოდულები ნახევრად აბელურ კატეგორიებში [88] (INTAS Grant No. 97-31961: “Algebraic homotopy, Galois theory and descent”).

მიღებულია ინვერსული ნახევარჯგუფების 0-განზომილებიანი იდეალპოტენცენტებით ინდუცირებული ჰომოტოპიის ჯგუფების აღწერა კერძო შემთხვევებში (INTAS Grant No. 566: “Algebraic K-theory, groups and algebraic homotopy theory”).

აგებულია და შესწავლილია ჰომოლოგიის ჯგუფები ოპერატორებიანი ჯგუფებისათვის [92]. (Grant of Swiss National Science Foundation No. 7GEPJ06551301: “K-theory and homotopical algebra”).

დამყარდა კავშირი არაკომუტაციური ასოციური ალგებრებისათვის ციკლურ ჰომოლოგიებსა და მილნორის ციკლურ ჰომოლოგიებს შორის ლის ალგებრების არააბელური ჰომოლოგიების გრძელი ზუსტი მიმდევრობის სახით [32,121] (NATO Grant No. SA(PST.CLG.979167) 6774/FT: “Homotopical algebra and (co)homology of groups, algebras and crossed modules”).

ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაო სტაბილური ჰომოტოპიური თეორიისათვის [8]. აღწერილია გზათა სივრცის ფიბრაციის პრედიფერენციალის გამოთვლის მეთოდი [80]. აგებულია კუბური სიმრავლეებიდან პერმუტაციულ სიმრავლეებში მგრეს ასახვათა თეორია, რომლის მეშვეობითაც აგებულია იტერირებულ მარყუჟთა სივრცეებისა და იტერირებულ გზათა სივრცეების მოდულები [129]. გამოთვლილია გარკვეული სიმპლექტური კობორდიზმების ჯგუფები ტრანსფერის ტერმინებში [76]. შესწავლილია ტრანსფერი მორავას K-თეორიაში [77] (CRDF Grant No. GM1-2083: “New aspects of obstruction and cobordism theories”).

მიღებულია მარტივი უშუალო დამტკიცება ობერსტის ფუნდამენტური თეორემისა, რომელიც ამყარებს ორადობის კავშირს სასრულად წარმოქმნილ პოლინომურ მოდულებსა და კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნთა სივრცეებს შორის [155]. მიღებულია ცხადი ფორმულები სიბრტყის ალგებრული ენდომორფიზმის ე.წ. კომპლექსური წერტილების გამოსათვლელად და აღწერილია ალგორითმი ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა პირველი ინტეგრალების გამოსათვლელად [44,45] (INTAS Grant No. 00-259: “Singularity theory and its applications”).

რეგულარობის გარკვეულ პირობებში ნაჩვენებია, რომ ჰეჯის მეცდომის მინიმიზაციის ამოცანის ფასის პროცესი შექცეულ სემიმარტინგალურ განტოლებას აკმაყოფილებს და სტრატეგია ოპტიმალურია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი შესაბამისი კაპიტალის პროცესი პირდაპირი სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ერთადერთი ამონახსნაა [159]. შესწავლილია სემიმარტინგალის უცნობი პარამეტრის შეფასების ამოცანები სტოქასტური განტოლებების კვლევის საფუძველზე; კერძოდ, აგებულია პარამეტრის ასიმპტოტურად საშუალო კვადრატული აზრით რობასტული შეფასებები და შესწავლილია მათი თვისებები [152]. მიღებულია ფუბინის ტიპის თეორემები ჩვეულებრივი (ლებეგის აზრით) და სტოქასტური (როგორც იტოს, ასევე სკოროხოვის აზრით) ინტეგრალებისათვის ინ-

ტეგრანდებზე ბუნებრივი მოთხოვნების პირობებში [70]. (INTAS Grant No. 97-30204: “Stochastic control methods in mathematical finance”; INTAS Grant No. 99-00559: “Stochastic analysis and related topics”).

შესწავლილია ჰოლის კვანტური სითხის გეომეტრიული აღწერის ფორმულირება არაკომუტაციური ჩერნ-საიმონსის ველის თეორიის ტერმინებში. მიღებულია ფართის გარდაქმნების არაკომუტაციური ვერსია და მიღებულია მეორადად დაკვანტული სურათი, რომელიც ადეკვატურად გადმოსცემს ჰოლის მდგომარეობის სტრუქტურას. შესწავლილია ჰოლის კვანტური სისტემის მრავალკომპონენტური მოდელი არაკომუტაციური გეომეტრიის პოზიციებიდან. მიღებულია W -ალგებრის $SU(N)$ -გაფართოების მკაცრი ფორმულირება. ნაჩვენებია, რომ ჰოლის კვანტური სისტემის მრავალკომპონენტური მოდელის ეფექტური თეორია შეესაბამება ე.წ. გრასმანურ $G_{N,k}$ მოდელს. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მოდელი აღწერს $k(N-k)$ კომპლექსურ გოლდსტონის მოდას და ერთ ტოპოლოგიურ სოლიტონს [25,172] (Grant of Swiss National Science Foundation No. GEPI 62373).

- 2. 2002 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ (იხ. დანართი 1)
- 3. 2002 წლის საგამომცემლო საქმიანობა (იხ. დანართი 2)
- 4. თანამშრომელთა მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა (მონოგრაფია, წიგნი, კრებული) სია (იხ. დანართი 3)
- 5. 2002 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები (იხ. დანართი 4)
- 6. სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებების თეზისები (იხ. დანართი 5)
- 7. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა (იხ. დანართი 6)
- 8. ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები. ჩატარდა მეცნიერ თანამშრომელთა ატესტაცია. ჩატარდა ასპირანტებისა და მაძიებლების ყოველწლიური ატესტაცია.

ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზირებულ საბჭოზე (სადისერტაციო საბჭო Ph.M.01.01 №1) დაცულ იქნა ერთი სადოქტორო და სამი საკანდიდატო დისერტაცია.

ინსტიტუტში მუშაობდა 8 სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სემინარი.

2002 წელს ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა ორმა ასპირანტმა (გ. ბიბილეიშვილი, ნ. თოფურიძე), ასპირანტურაში ჩაირიცხა სამი ასპირანტი (დ. ვაშაკაშვილი, ვ. კინწურაშვილი, გ. ჭავჭავაძე).

საანგარიშო პერიოდში სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა ა. კვინიანიძემ და ნ. შავლაყაძემ, ხოლო საკანდიდატო – ინსტიტუტის თანამშრომლებმა ა. გაჩეჩილაძემ და რ. ქურდიანიამ (საზ. საწყისებზე), ინსტიტუტის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებმა ნ. კეკელიამ და ზ. მეშველიანიამ.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის ბიბლიოთეკა შეივსო 328 ბეჭდვითი ერთეულით (318 ჟურნალი და 10 წიგნი). 2002 წლის 31 დეკემბრისათვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდში არის 93983 ბეჭდვითი ერთეული, აქედან 42774 უცხოური ჟურნალი და 3850 უცხოური წიგნი.

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი	ი. კილურაძე
სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი	ნ. ფარცვანია

2002 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

№	ღონისძიების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა		ჩატარების დრო (თვე, რიცხვი)	შენიშვნა
		სულ	მათ შორის უცხო ქვეყნებიდან		
1.	საერთაშორისო სკოლა-კოლოქიუმი “სტოქასტური ანალიზი და გამოყენებები მართვაში, სტატისტიკასა და ფინანსურ მოდელირებაში”	55	15	სექტემბერი, 1-7	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით
2.	საერთაშორისო სკოლა-სემინარი “თანამედროვე მიმართულებები გრაფიტაციაში, კოსმოლოგიასა და ნაწილაკთა ფიზიკაში”	50	16	სექტემბერი, 9-14	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით
3.	საერთაშორისო სკოლა-სემინარი “ინტეგრებადობა ველის კვანტურ თეორიასა და კვანტურ სტატისტიკაში”	60	20	სექტემბერი, 15-21	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით
4.	საერთაშორისო კონფერენცია “ტოპოლოგიურ სივრცეთა და ფიბრაციათა ალგებრული მოდელები”	28	4	სექტემბერი, 21-27	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2002 წლის
საგამომცემლო საქმიანობა

№	ჟურნალის დასახელება	რედაქტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 128 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
2.	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 129 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
3.	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 130 (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაწმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ
2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

№	ნაშრომის დასახელება (მონოგრაფია, წიგნი, კრებული)	ავტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	“შემოსაზღვრული და კომპაქტური ინტეგრალური ოპერატორები” (ინგლისურ ენაზე)	დ. ე. ედმუნდსი, გ. კოკილაშვილი, ა. მესხი	“Mathematics and Its Applications”, გამომცემლობა “Kluwer Academic Publishers”, დორდრეხტი–ბოსტონი– ლონდონი
2.	“შაღალი რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორდის ანალიზში. ამოცანათა ეფექტური ამოხსნები” (ინგლისურ ენაზე)	ე. თბოლაშვილი	გამომცემლობა “Birkhäuser”, ბოსტონი–ბაჰელი– ბერლინი
3.	“რიმან-ჰილბერტის ამოცანათა გეომეტრიული ასპექტები” (ინგლისურ ენაზე)	გ. ხიმშიაშვილი	“Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics”, vol. 27, გამომცემლობა “ჯისიი”, თბილისი
4.	“სტოქასტური განტოლებები სემიმარტინგალური პარამეტრის შეფასების ამოცანებში” (ინგლისურ ენაზე)	თ. ტორონჯაძე	“Journal of Mathematical Sciences”, vol. 132, გამომცემლობა “Kluwer Academic/Consultants Bureau”, ნიუ-იორკი
5.	“საყმაწვილო მათემატიკა მ” (გალრმაგებული გაძლიერებული სწავლებისათვის) (ქართულ ენაზე)	ზ. ვახანია, ლ. ჩიქვინიძე	გამომცემლობა “ჯისიი”, თბილისი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

2002 წელს გამოქვეყნებული შრომების სია

(i) მონოგრაფიები

1. D. E. Edmunds, V. Kokilashvili, and A. Meskhi, Bounded and compact integral operators. *Mathematics and Its Applications, Kluwer Academic Publishers, Dordrecht-Boston-London*, 2002.
2. G. Khimshiashvili, Geometric aspects of Riemann-Hilbert problems. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **27** (2002), 1-114.
3. E. Obolashvili, Higher order partial differential equations in Clifford Analysis. Effective solutions to problems. *Birkhäuser, Boston-Basel-Berlin*, 2002.
4. T. Toronjadzé, Stochastic equations in the problems of semimartingale parameter estimation. *Journal of Mathematical Sciences* **132**, *Kluwer Academic/Consultants Bureau, New York*, 2002, 1-240.

(ii) სამეცნიერო სტატიები

5. R. Bantsuri, On the splitting of an orthotropic plane. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **130** (2002), 1-6.
6. R. Bantsuri and N. Shavlakadze, The contact problem for an anisotropic wedge with an elastic strengthening of varying rigidity. (Russian) *Prikl. Mat. Mekh.* **66** (2002), No. 4, 683-689.
7. H.-J. Baues and M. Jibladze, Classification of abelian exact category. *K-Theory* **25** (2002), No. 3, 299-311.
8. N. Berikashvili, From symplex to cube. *Bull. Georgian Acad. Sci.* **166** (2002), No. 2, 101-104.
9. G. Berikelashvili, On the convergence of finite difference scheme for a nonlocal elliptic boundary value problem. *Publ. Inst. Math. (Beograd)* **70(84)** (2002), 69-78.
10. W. Bruns and J. Gubeladze, Polytopal linear retractions. *Trans. Amer. Math. Soc.* **354** (2002), 179-203.
11. W. Bruns and J. Gubeladze, Polyhedral algebras, arrangements of toric varieties, and their groups (Computational commutative algebra and combinatorics). *Adv. Stud. Pure Math.* **33** (2002), 1-51.
12. W. Bruns and J. Gubeladze, Semigroup rings and discrete geometry. *S'eminaires et Congrès* **6** (2002), 43-127.
13. W. Bruns and J. Gubeladze, Polytopal linear algebra. *Beitr. Algebra Geom.* **43** (2002), 479-500.
14. W. Bruns and J. Gubelade, Unimodular covers of multiples of polytopes. *Documenta Math.* **7** (2002), 463-480.
15. W. Bruns and J. Gubeladze, Polyhedral K_2 . *Manuscripta Math.* **109** (2002), 367-404.
16. W. Bruns, J. Gubeladze, and N. V. Trung, Problems and algorithms for affine semigroups. *Semigroup Forum* **64** (2002), 180-212.
17. I. Bukhnikashvili, On one variant of Richardson's cyclic iteration method. *Bull. Georgian Acad. Sci.* **166** (2002), No. 2.
18. J. M. Casas, J.-L. Loday and T. Pirashvili, Leibniz n -algebras. *Forum Math.* **14** (2002), No. 2, 189-207.
19. L. P. Castro, R. Duduchava, and F.-O. Speck, Singular integral equations on piecewise smooth curves in spaces of smooth functions. *Operator Theory, Advances and Applications* **135** (2002), 107-144.
20. T. Datuashvili and T. Pirashvili, On (co)homology of 2-types and crossed modules. *J. Algebra* **244** (2002), No. 1, 352-365.
21. O. Dzagnidze, The continuity and the limit in the wide sense. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **128** (2002), 37-46.
22. O. Dzagnidze, The unilateral in various senses: the limit, continuity, partial derivative and the differential for functions of the variables. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **129** (2002), 1-15.
23. D. E. Edmunds, V. Kokilashvili, and A. Meskhi, On Fourier multipliers in weighted Triebel-Lizorkin spaces. *J. of Ineq. & Appl.* **7** (2002), No. 4, 555-591.

24. D. E. Edmunds and A. Meskhi, Potential type operators in $L^{p(x)}$ spaces. *Zeitschrift für Analysis und ihre Anwendungen* **21** (2002), 681-690.
25. M. Eliashvili and G. Tsitsishvili, Geometric transformations and NCCS theory in the lowest Landau level. *Int. J. Mod. Phys.* **B16** (2002), 3725-3739.
26. L. Ephremidze, On the uniqueness of maximal operators for ergodic flows. *Rev. Mat. Complut.* **15** (2002), 75-84.
27. L. Ephremidze, On the uniqueness of the ergodic maximal function. *Fund. Math.* **174** (2002), 217-228.
28. N. Gamkrelidze and T. Shervashidze, On a local limit theorem for lattice distributions. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **130** (2002), 7-12.
29. E. Gordadze, On a problem of linear conjugation in the case of nonsmooth lines and some measurable coefficients. *Georgian Math. J.* **9** (2002), No. 3, 507-524.
30. H. Inassaridze, Higher non-abelian cohomology of groups. *Glasgow Math. J.* **44** (2002), 497-520.
31. H. Inassaridze and T. Kandelaki, K-theory of stable generalized operator algebras. *K-Theory* **496** (2002), 1-8.
32. N. Inassaridze, E. Khmaladze, and M. Ladra, Non-abelian tensor product of Lie algebras and its derived functors. *Extracta Mathematicae* **17** (2002), No. 2, 281-288.
33. G. Janelidze, L. Marki, and W. Tholen, Semi-abelian categories. *J. Pure Appl. Algebra* **168** (2002), 367-386.
34. G. Janelidze and M. Sobral, Finite preorders and topological descent I. *J. Pure Appl. Algebra* **175** (1-3) (2002), 187-205.
35. M. Jibladze and T. Pirashvili, On Kan fibrations for Maltsev algebras. *Georgian Math. J.* **9** (2002), No. 1, 71-74.
36. O. Jokhadze, Goursat problem for second order hyperbolic systems with unsplit principal parts. (Russian) *Differentsial'nye Uravneniya* **38** (2002), No. 1, 1-6.
37. O. Jokhadze, A general boundary value problem of the Darboux type in angular curvilinear domains for a third order equation with dominated junior terms. (Russian) *Sibirskii Mat. Zh.* **43** (2002), No. 2, 295-313.
38. D. Kapanadze, Pseudo-differential equations in anisotropic weighted Bessel potential spaces with asymptotics. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **25** (2002), 121-149.
39. M. Khabazi, Modular weighted inequalities for partial sums of Fourier-Vilenkin series. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **129** (2002), 53-63.
40. M. Khabazi, The mean convergence trigonometric Fourier series in weighted Orlicz classes. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **129** (2002), 65-75.
41. M. Khabazi, Weighted Orlicz class inequalities for certain Fourier operators. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **129** (2002), 77-86.
42. S. Kharibegashvili, On the solvability of some boundary value problems for symmetric first order hyperbolic systems in a dihedral angle. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **27** (2002), 115-144.
43. G. Khimshiashvili, Counting roots of quaternionic polynomials. *Bull. Georgian Acad. Sci.* **167** (2002).
44. G. Khimshiashvili and R. Pzybysz, On certain maximally super-integrable Hamiltonian systems. *J. Dyn. Contr. Systems* **8** (2002), No. 2, 207-244.
45. G. Khimshiashvili and E. Wegert, Complex points of planar endomorphisms. *Bull. Georgian Acad. Sci.* **165** (2002), No.1, 5-8.
46. G. Khuskivadze and V. Paatashvili, On a representation of the derivative of a conformal mapping. *Georgian Math. J.* **8** (2002), No. 3, 513-520.
